საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია – კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი მ. ნ. /სიითი N..../

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.01.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 003/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ /სიითი №...././

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ფ.-სათვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 15 იანვარს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა მ. ნ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. ფ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განიხილა სისხლის სამართლის საქმე ვ. ც.-ის, ბ. ჭ.-ის და ე. მ.-ის (გ.) მიმართ. მ. ნ.-ის განმარტებით, ის ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ახორციელებდა სამივე ბრალდებულის ინტერესების დაცვას და მოხდა ბრალდების მხარესთან საპროცესო შეთანხმების პირობებზე მოლაპარაკება, პროკურატურაში მან ხელი მოაწერა საპროცესო შეთანხმებას და მანვე განუმარტა კლიენტებს ის შედეგი, რომელიც მოჰყვებოდა საპროცესო შეთანხმების დადებას.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის აგვისტოში ის იმყოფებოდა შვებულებაში, რაც იყო ცნობილი მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირებისათვის და იცოდნენ, რომ ორი კვირის განმავლობაში ვერ შეძლებდა მისი პროფესიული მოვალეობების განხორციელებას.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისთვის მოულოდნელად, ამ საქმეში ჩაერთო ადვოკატი თ. ფ. და ის გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, რა დროსაც დამტკიცდა ბრალდებულთან საპროცესო გარიგება.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი თ. ფ. ისე გამოცხადდა სხდომაზე, რომ არ გაცნობია საქმეს და არ გაურკვევია, რა პირობებით დაიდო საპროცესო შეთანხმება. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა თ. ფ.-მ ორდერი გამოწერა სხდომის დღეს და სასამართლოს სხდომაზე დააფიქსირა, რომ ბრალდებულებს გაუწია სათანადო კონსულტაცია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. მ. ნ.-ის განმარტებით, ადვოკატი ვალდებულია გაეცნოს საქმეს და შემდეგ განაცხადოს, რომ იცნობს და ეთანხმება საპროცესო შეთანხმების პირობებს, რომელიც ამ შემთხვევაში სხვა ადვოკატის, ანუ მის მიერ იყო მიღწეული. მ. ნ.-ის განმარტებით, ადვოკატმა თ. ფ.-მ კლიენტებს გაუწია არაკვალიფიციური და არაკეთილსინდისიერი იურიდიული მომსახურება, დაარღვია ნდობის, პატიოსნების და კომპეტენტურობის პრინციპი.

1.6 საჩივრის ავტორმა 2018 წლის 28 თებერვლის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ადვოკატმა ასევე დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი. ადვოკატი მას უნდა დაკავშირებოდა და გარკვეულიყო საქმის ვითარებაში. მან შელახა მისი, როგორც ადვოკატის პატივი, რადგან აიღო ისეთი საქმე რომელშიც სხვა ადვოკატი, ამ შემთხვევაში მ. ნ. დაახლოებით 2 წლის განმავლობაში მონაწილეობდა და მას საქმეში ჩართვის თაობაზე ინფორმაციაც კი არ მიაწოდა.

1.7 ადვოკატი მ. ნ. განმარტავს, რომ კოლეგიალობის მუხლში მითითებული ფრაზა „პატივი სცეს კოლეგებს“, თავის თავში მოიცავს ასეთ შემთხვევებსაც. თუნდაც ადვოკატმა უნდა დაიცვას ის მინიმალური სტანდარტი, რომ დაურეკოს მეორე ადვოკატს და აცნობოს, რომ ერთვება მისი კლიენტის საქმეში და მოიკითხოს, რა ხდება ამ საქმეზე. იქნებ წინა ადვოკატი გარიგებულია ბრალდების მხარესთან და ისეთი საპროცესო შეთანხმების პირობებია საქმეში, რომელიც საზიანოა ბრალდებულის ინტერესებისათვის, რომლებიც არ არიან კომპეტენტურები იურიდიულ საკითხებში. მ. ნ.-ის განმარტებით, პროფესიული ღირებულებების დაცვა გულისხმობს ადვოკატის ვალდებულებას, პატივი სცეს თავის კოლეგას და დაიცვას ისეთი ელემენტარული სტანდარტი, როგორიცაა საქმეში ჩართული ადვოკატისათვის ინფორმაციის მიწოდება. მ. ნ.-ის განცხადებით, პატივისცემა არ გამოიხატება მხოლოდ კოლეგისათვის სასამართლოს შენობაში მისალმებით. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ როდესაც ადვოკატს საქმეზე გაწეული აქვს ძირითადი შრომა, შენ ისე არ უნდა მოიქცე, თითქოს ეს ადვოკატი არ არსებობს. ასეთი ქმედებით ილახება არა მხოლოდ ერთი ადვოკატის პატივი და ღირსება, არამედ ეს არის უპატივცემულობა მთლიანად ადვოკატთა კორპუსის. ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობა სწორედ ისაა, რომ უნდა ითანამშრომლოს კოლეგასთან.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა თ. ფ.-მ კლიენტებს არ მისცა კვალიფიციური და კეთილსინდისიერი რჩევა. მ. ნ.-ის განცხადებით, საქმეში წარმოდგენილია მოსამართლის თანაშემწის წერილი და სხდომის ოქმი, სადაც დასტურდება, რომ ადვოკატი საქმეს არ იყო გაცნობილი, ისე გამოვიდა პროცესზე. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ პროცესზე

წარმომადგენლობა არ უნდა იყოს ფორმალური. მ. ნ.-ის განცხადებით, თ. ფ.-მ პატიოსნად არ დაიცვა კლიენტის ინტერესები.

1.9 საჩივრის ავტორის განცხადებით, მის კლიენტებს უნდოდათ საქმის დროულად დასრულება, რისთვისაც „გამოიყენეს“ ადვოკატი თ. ფ.. მ. ნ.-ის განცხადებით, ადვოკატი არ არის ვიღაცის „ხელის ბიჭი“, რომ ხელი დაუქნიონ და ისიც მიზნის მიღწევაში დაეხმაროს, რადგან ადვოკატს პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს კომპეტენტურობას და კვალიფიციურობას.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, მართალია ამავე მხარეებს შორის, ამავე საფუძვლით, უკვე არსებობდა დისციპლინური საქმე, რომელზეც იმსჯელა ეთიკის კომისიამ და მიიღო გადაწყვეტილება დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, თუმცა ამჟამინდელ საჩივარში წარმოდგენილია სხდომის ოქმი, რომელიც წინა დისციპლინურ საქმეში N066/17 არ ყოფილა წარმოდგენილი. საჩვრის ავტორი განმარტავს, რომ მას აქვს განსხვავებული პრეტენზიები და საკითხები, რომელიც წინა შემადგენლობის ეთიკის კომისიის მიერ არ ყოფილა გამოკვლეული. მ. ნ.-ის განმარტებით, წინა საჩივარში ძირითადი პრეტენზია იყო ის, რომ მას არ დაუკავშირდა ადვოკატი თ. ფ. და არ აცნობა საქმეში ჩართვის თაობაზე. საჩვრის ავტორის განმარტებით, ეთიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სავალდებულო არ იყო ადვოკატ თ. ფ.-ს მ. ნ.-ისათვის ეცნობებინა საქმეში ჩართვის შესახებ. მ. ნ.-ის განცხადებით, ეთიკის კომისიას არ შეუფასებია მისი პრეტენზია კოლეგიალობის პრინციპის სავარაუდო დარღვევის კუთხით; ამასთან, ამჟამინდელი პრეტენზიები გარდა კოლეგიალობისა, ასევე ეხება ადვოკატის კვალიფიციურობას, კომპეტენტურობას და კეთილსინდისიერებას.

1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, იმის გამო, რომ ადვოკატი თ. ფ. მის ნაცვლად გამოვიდა მისი კლიენტების საქმეში, მან დაკარგა წარმატების ჰონორარი, რომელიც მიბმული იყო საქმის შედეგზე - საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე.

1.12 საპროცესო კოლეგიის 2018 წლის 07 მაისის სხდომაზე ადვოკატმა მ. ნ.-მ მხარი დაუჭირა წერილობით საჩივარს და დაასაბუთა თუ რა მოქმედებებში გამოიხატა ადვოკატ თ. ფ.-ის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ თ. ფ.-ის პოზიციით, რადგან საჩივარში იგივე პრეტენზიებია მითითებული, რაც ეთიკის კომისიის მიერ უკვე განხილულ საჩივარში, კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს მის მიერ დისციპლინურ საქმე N066/17-ში წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2017 წლის 16 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩანიშნული იყო ბრალდებულის ვ. ც.-ის, ბ. ჭ.-სა და გ. მ.-ის სასამართლო სხდომა. პროკურატურასა და ბრალდებულებს შორის მიღწეული იყო შეთანხმება გარკვეულ პირობებზე და მხარეებს შორის სასამართლომ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება.

2.3 ადვოკატის განცხადებით, ბრალდებულები მას შეხვდნენ და სთხოვეს დახმარება, რადგან მათი ადვოკატი იმყოფებოდა შვებულებაში, ხოლო სასამართლო პროცესი იყო ჩანიშნული და მოსამართლეს უნდა დაემტკიცებინა საპროცესო შეთანხმება. თ. ფ.-ის განცხადებით, ბრალდებულმა განუმარტეს, რომ ადვოკატმა მ. ნ.-მ მათ განუცხადა, რომ იყო შვებულებაში და რაც უნდოდათ ის გაეკეთებინათ.

2.4 ადვოკატის განცხადებით, ბრალდებულებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ მოსამართლე გადიოდა ერთ თვიან შვებულებაში და ამიტომ ჩქარობდნენ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას;

ეშინოდათ, რომ პროკურატურა დროის გასვლის შემდეგ აღარ გაუფორმებდათ შეთანხმებას, მოხდებოდა საქმის არსებითად განხილვა, სადაც დიდი ალბათობით მათ მიმართ დადგებოდა გამამტყუნებელი განაჩენი. თ. ფ.-ის განმარტებით, ადვოკატ მ. ნ.-ს არ შეუტანია განცხადება სასამართლოში პროცესის გადადების თაობაზე. როგორც ადვოკატმა განაცხადა, ის შვებულებაში გავიდა 10 აგვისტოს და შვებულებიდან გამოვიდოდა 30 აგვისტოს. ადვოკატის განმარტებით, საქართველოს სსსკ-ის თანახმად, საპროცესო შეთანხმების განხილვის და განაჩენის ვადა არის 15 დღე; შესაბამისად, რომ გადაედო მოსამართლეს პროცესი 25 აგვისტოსათვის, ადვოკატი მ. ნ. მაინც იქნებოდა შვებულებაში და ბრალდებულები დარჩებოდნენ ადვოკატის მომსახურების და დაცვის უფლების გარეშე. თ. ფ.-ის განცხადებით, ადვოკატმა მ. ნ.-მ პირადი ინტერესი უფრო მაღლა დააყენა ვიდრე ბრალდებულთა ინტერესი.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ბრალდებულთა ინტერესები არ ყოფილა შელახული, ის მათ მომსახურების პირობებზე შეუთანხმდა ზეპირი ფორმით, სასამართლოში წარადგინა ორდერი და ადვოკატის მოწმობა.

2.6 ადვოკატის განცხადებით, კოლეგიალობიდან გამომდინარე, მან დაურეკა ადვოკატ მ. ნ.-ს, მაგრამ მას ტელეფონი ჰქონდა გათიშული. ამასთან, ადვოკატი განმარტავს, რომ ის ვალდებულია კლიენტის და არა სხვა პირთა წინაშე.

2.7 ადვოკატის განცხადებით, მან კეთილსინდისიერად შეასრულა ადვოკატზე დაკისრებული მოვალეობა, რომლითაც ღირსება შეუნარჩუნა ადვოკატ მ. ნ.-ს და ამ მოქმედებით დაადასტურა, რომ ადვოკატთა კორპუსი ყოველთვის პირად ინტერესზე მაღლა აყენებს კლიენტის ინტერესს.

2.8 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 11 მაისს ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მართალია არ იცნობდა საქმის მასალებს, მაგრამ გაეცნო საპროცესო შეთანხმების ოქმს, განცხადებას საპროცესო შეთანხმების შესახებ, გაესაუბრა ბრალდებულებს; ოქმში, სადაც ნათლად იყო გამოხატული ბრალდებულთა ნება, ისინი ნებაყოფლობით აღიარებდნენ ბრალს და სურდათ მითითებული პირობებით გაფორმებულიყო შეთანხმება. თ. ფ.-მ განაცხადა, რომ ის ასევე გაეცნო ბრალს, რომელიც შესაბამისობაში მოდიოდა საპროცესო შეთანხმებასთან.

2.9 ადვოკატი განმარტავს, რომ მან არ იცოდა ადვოკატ მ. ნ.-ის ჰონორარი მიბმული იყო თუ არა საპროცესო შეთანხმებაზე; მისი ინფორმაციით, ადვოკატს კლიენტებისაგან ჰონორარი ჰქონდა მიღებული. მისთვის ეს კლიენტები ნაცნობები იყვნენ, რადგან ჰყავდათ საერთო სამეგობრო წრე. მას პირადად ამ საქმიდან სარგებელი არ მიუღია.

2.10 ადვოკატის განცხადებით, ამ საქმიდან რამდენიმე დღეში მას დაურეკა ადვოკატმა მ. ნ.-მ და გალანძღა უცენზურო სიტყვებით. მას ჰყავს მეუღლე და 3 მცირეწლოვანი გოგონა - 5 წლის, 3 წლის და 2 წლის, მ. ნ.-მ ბავშვებსაც მიაყენა შეურაცხყოფა ფრაზით: „როგორიც შენ ხარ, შენი შვილებიც მასეთები გაიზრდებიან“; თუმცა, რადგან მას არ აქვს ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ამის შესახებ არსად განუცხადებია.

2.11 ადვოკატის განმარტებით, მას მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა გაცნობოდა საქმის მასალებს და ამ მიზნით მოეთხოვა სხდომის გადადება რამდენიმე დღით. თუ მას კიდევ ექნება ანალოგიური შემთხვევა, დაუკავშირდება ბრალდებულის მოქმედ ადვოკატს და ეცდება საქმის მასალებს გაეცნოს სრულყოფილად.

2.12 2018 წლის 13 ნოემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დაადასტურა ახსნა-განმარტებაში მითითებული გარემოებები.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. ფ. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №...././, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული; ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან“.

3.2 მ. ნ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 15 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წლის აგვისტოში. შესაბამისად, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ საჩივრის არსებითი განხილვის გარეშე, ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი თ. ფ. ისე ჩაერთო ადვოკატ მ. ნ.-ის კლიენტის საქმეში, რომ მისთვის ინფორმაცია არ მოუწოდებია. ასევე, ადვოკატმა თ. ფ.-მ კლიენტის ინტერესები დაიცვა არაკვალიფიციურად, არაკეთილსინდისიერად, რაც გამოიხატა იმაში, რომ ის საქმის მასალების გაცნობის გარეშე ჩაერთო საქმეში და დაეთანხმა საპროცესო შეთანხმებას, რომლის პირობებს არც თავად იცნობდა და არც კლიენტებისათვის განუმარტავს.

5.2 კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 9(ვ)).

5.3 განხილვის კოლეგიის შეფასებით, წინა მოწვევის ეთიკის კომისიამ, იმავე მხარეებს შორის (საჩივრის ავტორი ადვოკატი მ. ნ., მოპასუხე ადვოკატი - თ. ფ.), იმავე საფუძვლით (კოლეგიალობა, არაკვალიფიციურობა) განიხილა დისციპლინური საქმე (ეთიკის კომისიის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #066/17) და მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ეთიკის კომისიამ შეაფასა ადვოკატ მ. ნ.-ის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა თ. ფ.-მ არ შეატყობინა მას, რომ ადვოკატად ერთვებოდა მისი კლიენტების საქმეში; ასევე, ადვოკატი ისე ჩაერთო საქმეში, რომ არ იცნობდა სისხლის სამართლის საქმის მასალებს. კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ფ.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლისა და მე-10 მუხლის პირველი ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ადვოკატ თ. ფ.-ის მიერ არ ვლინდებოდა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა, ხოლო არაკვალიფიციური მომსახურების ნაწილში

ადვოკატი მ. ნ. არასათანადო განმცხადებლად მიიჩნია, რადგან თ. ფ.-ის კლიენტებს არ გამოუთქვამთ პრეტენზია მათი ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხზე.

5.4 2018 წლის 15 იანვარს ადვოკატმა მ. ნ.-მ ისევ მომართა ეთიკის კომისიას ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ პრეტენზიით. ადვოკატის პრეტენზიას წარმოადგენს, რომ ადვოკატი თ. ფ. ისე ჩაერთო ადვოკატ მ. ნ.-ის კლიენტის საქმეში, რომ მისთვის ინფორმაცია არ მოუწოდებია. ასევე, ადვოკატმა თ. ფ.-მ კლიენტის ინტერესები დაიცვა არაკვალიფიციურად, არაკეთილსინდისიერად, რაც გამოიხატა იმაში, რომ ის საქმის მასალების გაცნობის გარეშე ჩაერთო საქმეში და დაეთანხმა საპროცესო შეთანხმებას, რომლის პირობებს არც თავად იცნობდა და არც კლიენტებისათვის განუმარტავს.

5.5 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ მ. ნ.-ს აქვს იგივე პრეტენზია, რომელიც უკვე შეაფასა წინა მოწვევის ეთიკის კომისიამ და 2017 წლის 26 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება. საჩივრის თავიდან შემოტანის შემდეგ, ადვოკატს არ წარმოუდგენია რაიმე სახის ახალი გარემოება, რომელიც გახდებოდა კომისიის მიერ საქმის თავიდან განხილვის საფუძველი. შესაბამისად, განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ნ.-ის საჩივარზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, რადგან არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საკითხზე.

5.6 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით (მუხლი 9(ვ)) და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №003/18 ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ /სიითი №...././ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/